ხელშეკრულება №26

ქ. თბილისი 17 სექტემბერი 2016წ.

ერთი მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის 130-ე საჯარო სკოლა წარმოდგენილი მისი დირექტორის **მაია კოპალიანის** სახით (შემდეგში „შემკვეთი“ წოდებული), და მეორე მხრივ, **შპს „ინტელექტ აუდიტი“** (შემდეგში „შემსრულებლად“ წოდებული) წარმოდგენილი მისი **დირექტორის ივანე გაჩეჩილაძის** სახით, რომელიც მოქმედებს წესდების საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. სსიპ ქალაქ თბილისის 130-ე საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი 65,80 კვ.მ ბუფეტის, 148,65 კვ.მ სააქტო დარბაზის, 148,48 კვ.მ სპორტული დარბაზისა და 31,58 კვ.მ მუსიკალური ოთახის ყოველთვიური და საათობრივი საიჯარო ქირის ღირებულების დადგენა (CPV: 79200000).

მუხლი 2. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

2.1. **შემკვეთი ვალდებულია:**

2.1.1. შეუქმნას **„შემსრულებელს“** სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო პირობები.

2.3. **შემსრულებელი ვალდებულია:**

2.3.1. შეფასება განახორციელოს შეფასების საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს იმ მეთოდოლოგიასა და მიდგომებს, რომლებიც ცალსახად არის დაფიქსირებული საერთაშორისო შეფასების კომიტეტის (International valuation Standarts Committee) მიერ შეფასების საერთაშორისო გამოცემაში.

2.3.2 .შეფასებისას შემოთავაზებულ მეთოდოლოგიაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი შემოთავაზებული მიდგომა და ჩასატარებელი სამუშაოთა აღწერა თითოეული ტიპის საგანზე.

მუხლი 3. მომსახურების გადაცემა

3.1 შეფასებაზე დასკვნის წარდგენა ხდება შემკვეთის უფლებამოსილ პირზე შემსრულებლის წარმომადგენლის მიერ გადაცემით ან ფოსტით.

3.2 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების თარიღად ითვლება შემკვეთისათვის შეფასების დასკვნის წარდგენის თარიღი.

მუხლი 4. მომსახურების გაწევის ვადები

4.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადა დადგენილია 2016 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით.

4.2 შემსრულებლის მიერ ვალდებულების შესასრულებლად ვადის გაგრძელება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა, იმის მიუხედავად იგი მოხდა თუ არა შემსრულებლის მიზეზით, წარმოადგენს ვადის გაგრძელების საფუძველს იმ პერიოდამდე, სანამ არ შესრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება.

მუხლი 5. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1 შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს დღგ-ს გათვალისწინებით.

5.2 მომსახურებაზე საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება შემკვეთისათვის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 5 დღის ვადაში.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის მხარეები მატერიალურად პასუხის მგებელნი არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 შემსრულებელი შეფასებას ახორციელებს მხოლოდ შეფასების პროცესში წარ-დგენილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის საფუძველზე. დოკუმენტების სისწორესა და დოკუმენტებში ასახული მონაცემების უტყუარობაზე პასუხისმგებელი არიან ამ დოკუმენტების შემქმნელი ან ხელმომწერი პირები.

6.3 ნებისმიერ სარჩელსა და პრეტენზიაზე შემსრულებლის პასუხისმგებლობა შემოფარგლულია ამ ხელშეკრულების თანახმად მიღებული ან მისაღები თანხის ოდენობით.

მუხლი 7. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

7.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. სხვა პირობები

9.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლი 10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

სსიპ ქალაქ თბილისის 130-ე
საჯარო სკოლა
ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი
IV კვარტალი
სს „ბანკი რესპუბლიკა“
ბანკის კოდი: REPLGE22
ა/ა: GE31BR0000010663855590
ს/კ 202 055 694
დირექტორი

მაია კოპალიანი

შპს „ინტელექტ აუდიტი“
ქ. თბილისი, დ. ბაქრაძეს ქ. #6
სს „თიბისი ბანკი“.
ბანკის კოდი:TBCBGE22.
ა/ა: GE17TB7630136080100002
ს/კ 404 906 973

დირექტორი

ივანე გაჩეჩილაძე

მიღება-ჩაბარების
აქტი

ქ. თბილისი

22 სექტემბერი 2016წ.

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ თბილისის 130-ე საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის, მაია კოპალიანის სახით და მეორეს მხრივ შპს „ინტელექტ აუდიტი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე გაჩეჩილაძის სახით, ვადგენთ წინამდებარე აქტს შემდეგზე:

2016 წლის 17 სექტემბრის №26 ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელმა“ ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა“ ჩაიბარა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული, სსიპ ქალაქ თბილისის 130-ე საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი უძრავი ქონების ყოველთვიური და საათობრივი საიჯარო ქირის ღირებულების დადგენა. შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

აქტი სწორია, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

სსიპ ქალაქ თბილისის 130-ე

საჯარო სკოლის

დირექტორი

მაია კოპალიანი

შპს „ინტელექტ აუდიტი“

დირექტორი

ივანე გაჩეჩილაძე